საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-18/587
10/10/2019

587-გ-19-1-4-201910101756

შპს „ჩვენი რადიოსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

I. საქმის აღწერა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის (N19-10-1860, 25.09.19) საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჩვენი რადიოსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, მის მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამო.

კომისიის აპარატის აუდიოვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათიდან (N19-10-1860, 25.09.19) ირკვევა, რომ აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 2 სექტემბერს განხორციელდა შპს „ჩვენი რადიოს“ (რადიოს ბრენდული სახელწოდება - „რადიო კომერსანტი“) სამაუწყებლო ბადეში განთავსებული პროგრამების მონიტორინგი სპონსორობის წესების, პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების, ტელეშოპინგის განთავსების და რეკლამის განთავსების მართლზომიერების დადგენის მიზნით. აღნიშნული სამსახურებრივი ბარათის თანახმად, 2019 წლის 2 სექტემბერს, 09:10:21 სთ-ზე, მაუწყებლის ეთერში განთავსდა შემდეგი შინაარსის სასპონსორო განცხადება: „ამინდის პროგნოზის სპონსორია „მიდეა“ - მსოფლიოს ლიდერი ბრენდი საყოფაცხოვრებო კონდიციონერებში. დიდი დიღომი, ფარსადანის ქუჩა 7. მართე შენი სეზონი „მიდეასთან“ ერთად, ოთხწლიანი გარანტიით“.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 14 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „სპონსორზე მითითება არ უნდა შეიცავდეს სარეკლამო შეტყობინებას“, ხოლო მე-6 პუნქტის თანახმად, „სპონსორობისას დაუშვებელია საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდებისა და მოხმარებისაკენ პირდაპირი მოწოდება ან/და წაქეზება ამ საქონელზე ან/და მომსახურებაზე სპეციალური მითითებით, მათ შორის საქონლის/მომსახურების დეტალური აღწერა როგორც ვერბალური, ასევე ვიზუალური ფორმით. სპონსორზე მითითებისას დაშვებულია ლოზუნგების, სათაურების, მელოდიის და ა.შ. გამოყენება მხოლოდ სპონსორის იდენტიფიცირების მიზნით და იმ ფორმით, რომ აღნიშნული მახასიათებლების გამოყენება არ შეიცავდეს საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდებისა და მოხმარებისაკენ პირდაპირ მოწოდებას ან/და წაქეზებას.”

შპს ,,ჩვენი რადიოსთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 10 ოქტომბერს, რის თაობაზეც შეტყობინებით ეცნობა შპს „ჩვენი რადიოს“ და ეთხოვა საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებებისა და მტკიცებულებების კომისიაში წარმოდგენა. კომპანიას ასევე განემარტა მისი უფლებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, მტკიცებულებებისა და შუამდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული მასალების გამოთხოვასთან დაკავშირებით.

კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე გამოცხადდა შპს „ჩვენი რადიოს“ წარმომადგენელი ლ.იასეშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე კომისიის 2016 წლის 14 იანვრის დადგენილების შესაბამისად, სასპონსორო განცხადებაში არ უნდა იყოს პირდაპირი მოწოდება, თუმცა მისი მოსაზრებით, კანონმდებლობაში არ არის განმარტებული თუ რას ნიშნავს პირდაპირი მოწოდება, რაც მედიისთვის არის ძალიან დიდი პრობლემა, კერძოდ, რა შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ მოწოდებად და რა ირიბ მოწოდებად; თუ კომისია განმარტავს ოფიციალურად, ძალიან დაეხმარება მაუწყებლებს მუშაობაში; შპს „ჩვენი რადიოს“ წარმომადგენლის აზრით, სასპონსორო განცხადებაში გამოყენებული სიტყვები „ოთხწლიანი გარანტიით“, შესაძლოა კანონს ეწინააღმდეგებოდეს.

II. კომისიის მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი თანდართული CD-ით (N19-10-1860, 25.09.19);
2. შპს „ჩვენი რადიოს“ შესახებ მონაცემები კომისიის უწყებრივი რეესტრიდან და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრიდან;
3. შპს „ჩვენი რადიოს“ წარმომადგენლის ლ.იასეშვილის მიერ კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტება.

III. ფაქტობრივი გარემოებები

1. 1. შპს ,,ჩვენი რადიო“ კომისიის 2014 წლის 26 ნოემბრის N770/2, 2017 წლის 13 ივლისის N468/1 და 2017 წლის 13 ივლისის N470/1 გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოადგენს N B72, N B197 და N B198 რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მფლობელ პირს;

2. შპს „ჩვენი რადიოს“ 2019 წლის 2 სექტემბრის 09:10:21 სთ-ზე, სამაუწყებლო ეთერში განთავსდა შემდეგი შინაარსის სასპონსორო განცხადება: „ამინდის პროგნოზის სპონსორია „მიდეა“ - მსოფლიოს ლიდერი ბრენდი საყოფაცხოვრებო კონდიციონერებში. დიდი დიღომი, ფარსადანის ქუჩა 7. მართე შენი სეზონი „მიდეასთან“ ერთად, ოთხწლიანი გარანტიით“.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაცემის სპონსორზე მითითებისას ადგილი აქვს საქონლის შეძენისა და მოხმარებისაკენ წაქეზებას ამ პროდუქტზე სპეციალური მითითებით, ვერბალური ფორმით, ამასთან, სასპონსორო მითითება შეიცავს სარეკლამო შეტყობინებებს.

3. ბოლო ერთი წლის განმავლობაში შპს „ჩვენი რადიოს“ მიმართ არ ყოფილა გამოყენებული ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის არცერთი სახე მსგავსი/ანალოგიური დარღვევისათვის.

IV. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია დაიცვას მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები; მაუწყებლობის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ავტორიზებული საქმიანობის მათთან შესაბამისობა;

2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობასთან და ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა;

3. ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ^9) ქვეპუნქტის შესაბამისად, სპონსორობა არის პროგრამის მომზადების ან ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება პირის მიერ, მისი სახელის, სავაჭრო ნიშნის, იმიჯის, საქმიანობის განვითარების რეკლამირების მიზნით;

4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 14 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სპონსორზე მითითება არ უნდა შეიცავდეს სარეკლამო შეტყობინებას, ხოლო მე-6 პუნქტის თანახმად, სპონსორობისას დაუშვებელია საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდებისა და მოხმარებისაკენ პირდაპირი მოწოდება ან/და წაქეზება ამ საქონელზე ან/და მომსახურებაზე სპეციალური მითითებით, მათ შორის საქონლის/მომსახურების დეტალური აღწერა როგორც ვერბალური, ასევე ვიზუალური ფორმით. სპონსორზე მითითებისას დაშვებულია ლოზუნგების, სათაურების, მელოდიის და ა.შ. გამოყენება მხოლოდ სპონსორის

იდენტიფიცირების მიზნით და იმ ფორმით, რომ აღნიშნული მახასიათებლების გამოყენება არ შეიცავდეს საქონლის/მომსახურების შეძენის, მიწოდებისა და მოხმარებისაკენ პირდაპირ მოწოდებას ან/და წაქეზებას;

5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის/ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია ვალდებულია განიხილოს შესაბამისი საკითხი. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს. კომისიის მიერ მაუწყებლის მიმართ სანქციის გამოყენების მიზანი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა ან პრევენცია. კომისია მაუწყებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დარღვევის აღმოფხვრისათვის ან პრევენციისათვის ღონისძიებათა განსახორციელებლად, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა, თუ მან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრა გაფრთხილებაში აღნიშნული დარღვევა ან არ შეასრულა კომისიის გადაწყვეტილება, აგრეთვე თუ მან ზემოაღნიშნული გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდინა ახალი დარღვევა;

კომისიას მიაჩნია, რომ შპს „ჩვენი რადიოს“ 2019 წლის 2 სექტემბრის სამაუწყებლო ბადეში, განთავსებულ „მიდეას“ სასპონსორო ვიდეო-რგოლში, სასპონსორო სასპონსორო მითითება შეიცავს საქონლის/მომსახურების შეძენისა და მოხმარებისაკენ წაქეზებას ამ პროდუქტზე სპეციალური მითითებით, ვერბალური ფორმით, ამასთან, სასპონსორო მითითება შეიცავს სარეკლამო შეტყობინებებს, რითაც შპს „ჩვენი რადიოს“ მიერ დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტი, 70-ე მუხლის პირველი პუნქტი და 2016 წლის 14 იანვარს კომისიის დადგენილებით დამტკიცებული „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.

შპს „ჩვენი რადიოს“ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მსგავსი/ანალოგიური დარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხიმგებლობა არ დაკისრებია, შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ კომპანია უნდა გაფრთხილდეს და უნდა დაეკისროს დარღვევის აღმოფხვრა.

V. სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე და 99-ე მუხლების, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის $ჰ^9$) და $ჰ^{17}$) ქვეპუნქტების, 45^1 მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 14 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შპს „ჩვენი რადიოს“ დაეკისროს გაფრთხილება 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 14 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული „სპონსორზე მითითების სახელმძღვანელო რეკომენდაციების“ მე-5 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების დარღვევის გამო;

2. შპს „ჩვენი რადიოს“ დაევალოს წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა;

3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) ამ გადაწყვეტილების შპს „ჩვენი რადიოსთვის“ დაუყოვნებლივ გაგზავნა;

4. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს (თ.ხუხუნაიშვილი) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ინფორმაციის კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში შეტანის უზრუნველყოფა;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., №6) გადაწყვეტილების შპს „ჩვენი რადიოსთვის“ ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

6. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს „ჩვენი რადიოსთვის“ ჩაბარების დღიდან;

7. კონტროლი წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტს (ი. მახარაძე).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი

გიორგი ფრუიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი